№ 66
შაბათი, 27 მარტი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 66
შაბათი, 27 მარტი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიი

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


## სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 30 მარტს,

**კნეინა ნინო დავითის ასულის ჩოლოყაშვილის** თაოსნობით გამართული იქმნება

**საგანგებო წარმოდგენა.**

წარმოდგენილი იქმნება ქართულ ენაზე

I

**სამაგელი**

კომედია 2 მოქმედებათ თავ. დ. ერისთავისა.

II

რუსულ ენაზე

**მოწყვეტილი ვარსკვლავი**

ერთი მოქმედება.

III

**ცხოველი სურათები**

1) თამარი „დემონიდამ“. — 3) მაისის ღამე.
2) ლხინი და ქორწილი მაკოვსკისა. — 4) თამარ მეფე და რუსთაველი.

ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ე. პ. ტებენკოვისა, მ. გ. ციტოხცევისა, ქ-ნი გერშელმანისა, კნ. ე. მ. წერეთლისა, კნ. მ. ს. წერეთლისა, დ. რ. ფრიდონოვისა, კნ. მ. თ. ბარათაშვილისა, ა. პ. ოპოჩინინისა, ი. ბილფელდისა, ქ-ნი იუხნოვიჩისა, ე. გ. თათოევისა, კნ. ვ. რუსიშვილისა, ბ. ს. მამაცაშვილისა, ლეგრანისა, კნ. მ. ქ. ხერხეულიძისა, კნ. ივ. ფალავანდიშვილისა, კნ. ა. კ. ერისთავისა, კნ. ე. გ. ერისთავისა, ბუჰყიეგისა, სარაჯიშვილისა. ბ-ნნი პ. ა. ოპოჩინინი, ვ. ნ. ტატიშჩევი, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, გ. დ. ჟურული, თავ. დ. კ. მიქელაძე, თავ. კ. ა. ერისთავი, ბეტულინსკი, თავ. ნ. დ. ერისთავი, თავ. ა. რ. ვახვახიშვილი, თავ. ლ. რ. ვახვახიშვილი, თავ. ვ. ლორთქიფანიძე, თავ. პ. რ. წერეთელი და ნაცვლიშვილი.

ლოჟის და პირველი წყებების ბილეთები გაყიდულია.

**ფასები მომატებულია.**

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.



**ანნა ზაქარიას ასული დავიდოვისა, ნინა ქაიხოსროს ასული ზანდუკლისა, ივანე ქაიხოსროს ძე დავიდოვი და ნიკოლოოზ ზაქარიას ძე კეცხოველი,** აუწყებენ რა გულითადის მწუხარებით გარდაცვალებასა პირველი ქმრისას, მეორე და მესამე ძმისას და მეოთხე სიძისას

**გაბრატ ქაიხოსროს ძის დავიდოვისას,**

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობძანდნენ სოფელ კარბში განსვენებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად, კვირას, 28 მარტს.

(1—40—1)



**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ა. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პრიტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკე.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.**

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ)



ქ. ქუთაისი

**ექიმი**

**ნ. გ. ჭიჭინაძე**

იღებს ავადმყოფებს

(ლევაშოვის ქუჩაზედ, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13).

დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის. (—ნ.—15)


**მთავრობის განკარგულებანი.**

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო: სტატსკი სოვეტნიკობა—ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებლის მასწავლებელს ხევცურიანს; ნადვორნი სოვეტნიკობა—ოზურგეთის სასამართლოს ბოქაულს კაპარავას; კოლეჟსკი ასესსორობა—სენაკის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს მოსიძეს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ქუთაისის სასამართლოს მდივანს სიდავას; გუბერნსკი სეკრეტრობა—სენაკის სასამართლოს ბოქაულს თაყაიშვილს.

დამტკიცებულ იქმნა: გუბერნსკი სეკრეტრის ხარისხში ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოსამართლო თანამდებობის უმცროსი კანდიდატი მეფისაშვილი.

## ახალი ამბავი

*** ახლად დანიშნული ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის

## ფელეტონი

**უცხოთა შორის**

ამერიკა. — თავისებურობა იქაურ სტუდენტთა ცხოვრებისა.—რითი იხვეჭს სახელს იქაური უნივერსიტეტი.—სტუდენტთა საგიმნასტიკო და სათამაშო საზოგადოებანი.—სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა შეტაკება-ომი.—საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთობა რა თვალით უყურებს ამ შეტაკებას.—ბრძოლის მოედანი. — გმირი. — პირველისა და მეორის კურსის სტუდენტობა.—მათ შორის დამოკიდებულება.—რა ხერხსა ჰხმარობენ ერთმანეთის დასამცირებლად.—„ჯოხით ომი“.—შეტაკება ბორანთან.—ასეთ თამაშობათა მოწინაამდეგენი.—სხვა საზოგადოებანი.—სალიტერატურო და სამჭევრმეტყველო საზოგადოებანი.—სასწავლებელთა „yell“-ი.—საიდუმლო საზოგადოებანი. — ვილიამ მორისი. — საზოგადოების წევრად შესვლა.—საზოგადოებათა თანამდებობის კაცნი.—მათი არჩევანები.—საზოგადოებათა ქონება. —სასულიერო საზოგადოებანი. სასტუდენტო ჟურნალ-გაზეთობა. — ღარიბი სტუდენტები.

ამ ჟამად ისე ჟურნალს ან გაზეთს არ აიღებთ ხელში, რომ ამერიკის, იქაურის ცხოვრების, ვაჭრობა-მრეწველობის, სწავლა-განათლებისა და სხვა მრავალის შესახებ არა წაიკითხოთ რა შიგ. არც საკვირველია: ამ ქვეყანაში ისე სდუღს და გადმოდის ცხოვრება, ისეთის სისწრაფით ჩნდება და ვრცელდება ყოველივე ახალი, რომ ნება-უნებურად ყველას ყურადღებას იქცევს და იპყრობს. დღეს ამერიკა, უკეთ რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატები, დედამიწის დანარჩენ განათლებულ სახელმწიფოებს არამც თუ არაფერში არ ჩამოუვარდება, არამედ იქაურებმა ბევრში გაუსწრეს და გადააჭარბეს კიდეც სხვა ქვეყნელებს. იმისდა მიუხედავად რომ ამერიკის მკვიდრნი ევროპიელ ერთა შთამომავალნი არიან, ევროპიდგან ამ უკანასკნელ საუკუნოების განმავლობაში სხვა-და-სხვა დროს გადასახლებულნი, იქაური ცხოვრება, ურთიერთშორისი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი წეს-წყობილება ძალიან განსხვავდება ევროპის ცხოვრებისა და წეს-წყობილებისაგან და ბევრს ისეთს თავისებურს წარმოადგენს, რასაც ევროპაში, და მით უმეტეს სხვაგან, ვერსად ვერ შეხვდებით. სხვათა შორის ერთის ასეთის თავისებურობით განირჩევა ამერიკელ სტუდენტთა ცხოვრება. ის, რაც იქაურს სტუდენტობის უმთავრეს მისწრაფებას, სურვილს შეადგენს, ბევრის სხვა ქვეყნის სტუდენტობას გაკვირვებასა და განცვიფრებაში მოიყვანს.

უპირველესს ყურადღებას უცხო ქვეყნელისას ამერიკელის სტუდენტთა ცხოვრებაში ის გარემოება იპყრობს, რომ ეს სტუდენტობა იმდენად სწავლით არ არის გატაცებული, იმდენ დროს ჭკუის გამდიდრებასა და გონების განვითარებას არ ანდომებს, რამდენსაც სხვა-და-სხვა გიმნასტიკას, თამაშობას და საზოგადოდ ფიზიკურ მოძრაობას. აი, რას ამბობს იმ წერილის ავტორი, რომლიდგანაც ჩვენ ამ ფელეტონისათვის ცნობებს ვიღებთ: „ამ 3—4 წლის წინად ჩიკაგოს სატეხნოლოგიო ინსტიტუტის ერთმა საუკეთესო პროფესსორმა ასეთის სიტყვებით მიჰმართა სტუდენტებს: „ბატონებო, უნდა ვეცადნეთ შევადგინოთ კარგი დასი „მობურთავეთა“. თქვენ ხომ კარგად იცით, ჩვენ ინსტიტუტში, სტუდენტი აღარ შემოვა თუ ბურთის კარგი მოთამაშენი არ გვეყოლება“. პროფესსორმა ეს სიტყვები რწმენითა და დაბეჯითებით წარმოსთქვა, სტუდენტებმაც გულ-დასმით მოუსმინეს და დაფიქრებულნი დაიშალნენ. ყოველთვის და ყველგან, განაგრძობს იმავე წერილის ავტორი, სტუდენტების უმთავრესს საბაასო საგანს შეადგენს ჰიდაობა, ბურთაობა, ამა თუ იმ მოთამაშის გამარჯვება და სხვა. ყველა უნივერსიტეტში და, ასე გასინჯეთ, გიმნაზიაშიაც-კი მრავალი სტუდენტთა კავშირი, საზოგადოება და ამხანაგობა არსებობს, რომელთა სახელწოდებიდგანაც სჩანს,—რა შეადგენს ამ ამხანაგობათა და საზოგადოებათა საგანს. ყველგან არსებობს საზოგადოებანი „მობურთავეთა“, „მენავეთა“, „ველოსიპედის მოყვარულთა“, „სირბილის მოყვარულთა“ და მრავალი სხვა. ამასთან თითო კლასს ან კურსს, თავისი საზოგადოება აქვს. წელიწადში რამდენჯერმე სხვა-და-სხვა კურსის საზოგადოებანი გამოდიან სამეტოქეოდ და იმის გამოსაცდელად, რომელი კლასის საზოგადოება დასჯაბნის და აჯობებს ამა თუ იმ თამაშობა-ჰიდაობაში. ამ საქმეში მთელი უნივერსიტეტი იღებს მონაწილეობას. გამარჯვებულნი ნამდვილ გმირებად ითვლებიან იმ დრომდე, ვიდრე მათ სხვა ვინმე დაამარცხებდეს.

მაგრამ გაცილებით მეტი მოძრაობა და ალიაქოთია მაშინ, როდესაც შეტაკება ორ უნივერსიტეტს შორის მოხდება და საფალავნო მოედანზედ ამ უნივერსიტეტის წარმომადგენელნი გამოდიან ხოლმე. რადგანაც, როგორც ზემოდაცა ვსთქვით, ამერიკაში უნივერსიტეტი სახელს იჩენს თავისის ფალავნებისა და ჰიდაობა-თამაშობის წყალობით, აუცილებელი ხდება უნივერსიტეტის ერთმანეთ შორის შეტაკება იმის გასაგებად, მართლა რომელი სჯობნის და რომელი არა. ამიტომ როგორც ერთისა და იმავე უნივერსიტეტის კურსები, აგრეთვე წელიწადში რამდენჯერმე სხვა-და-სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებიც გამოდიან მოედანზედ თავიანთის ძალ ღონის დასამტკიცებლად და გამარჯვების მოსახვეჭად. არ იფიქრო, მკითხველო, რომ ასეთი ფალავნობა სტუდენტების გარდა არავის ყურადღებას არ იქცევდეს! პირ-იქით, მთელი ამერიკა დიდის ხალისით, ინტერესით ადევნებს თვალყურს ასეთს ამბავს. ყოველ წელიწადს ორის საუკეთესო უნივერსიტეტის—ვალესი და ჰარვალდისა—სტუდენტების ფალავნობას 30 — 50 ათასი კაცი ესწრება ხოლმე. ყველა შტატიდგან იკრიბება ხალხი სეირის საცქერად. შეერთებულის შტატების თითქმის ყველა გაზეთი რამდენისამე თვით ადრე იწყებს ლაპარაკს ამ ამბის შესახებ. დაწვრილებით არის ხოლმე აწერილი მოპირდაპირეთა ღირსება-ნაკლულევანებანი, მათის ფალავნების ბიოგრაფია, დახატულია სურათები ამავე ფალავნებისა, აწერილია ის ადგილები, სადაც ჰიდაობა და ბურთაობა უნდა მოხდეს და სხვა. ბევრი გაზეთი იქ განსაკუთრებულ კორესპონდენტსა ჰგზავნის, რომელიც დეპეშით აცნობებს ხოლმე ყოველსავეს. დამსწრე საზოგადოება ხომ მოუთმენლად მოელის იმ საათს, როდესაც ფალავნები მოედანზედ გამოვლენ. მოედანი განსაკუთრებულ ამისათვის ცირკისავით არის მოწყობილი, სადაც ეს ამოდენა ჩამწკრივებული ხალხი სულ განაბული ელის დასაწყისს.

აი, გავარდა კიდეც რევოლვერი, მოედანზედ გამოჩნდენ ფალავანნი და დაიწყო ომი. არ გაიკვირვოთ, დიაღ, ნამდვილი ომი! ბევრი გმირი მოედნიდგან პირდაპირ საავადმყოფოში მიჰყავთ, ბევრი ცხვირ გაჭეჭყილი, თვალებ-დასიებული, ტუჩებ-დახეთქილი სტოვებს ბრძოლის ველს, მოწინააღმდეგეთ ავიწყდებათ, რომ ეს თამაშობაა და არავითარს საშუალებას არ ჰზოგავენ ერთმანეთის დასამარცხებლად. გამარჯვებულ სტუდენტთათვის ასეთი ფალავნობა ნამდვილი დღესასწაულია, თავიანთი „გმირი“ ხელით დაჰყავთ, ყველა გაზეთში ამ გმი-

აღმასრულებელი პოლკოვნიკი ივანე ნიკოლოზის ძე სვეჩინი დაიბადა 1863 წ. და შთამომავლობით ტულას გუბერნიის აზნაურშვილია. განათლება მიუღია ნიკოლოზის კავალერისტთა სასწავლებელში. 1885 წ. მისის უდიდებულესობის სახლობის ლეიბ-გვარდიის რაზმში იყო იგი გამწესებული. 1895—1897 წლ. მისის უდიდებულესობის ესკადრონს უფროსობდა. 1897 წელს კავკასიის მთავარ მართებლის განკარგულებათა აღმასრულებელ მოხელედ იქმნა დანიშნული, ხოლო 1898 წელს მთავარ-მართებლის ადიუტანტად და ამასთან ებოძა პოლკოვნიკობაც.

*** ხუთშაბათს, 25 მარტს, მოხდა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრებამ მოისმინა საზოგადოების მოქმედების ანგარიში წინა წლებში, საბაღოსნო სკოლის ანგარიში, მოხსენებანი ს. ნ. ტიმოფეევისა და ა. ა. ქალანთარისა და დასასრულ აარჩია საზოგადოების პრეზიდენტი, საბჭოს ორი წევრი, მდივანი და ხაზინადარი. როგორც წაკითხულის ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოებას ჰყოლია სულ 148 წევრი, მათ შორის 10 საპატიო წევრი, 125 ნამდვილი წევრი და 13 წევრი-კორესპონდენტი. ვიცე-პრეზიდენტად კენჭის უყრელად არჩეულ იქმნა წინანდელი ვიცე-პრეზიდენტი უგანათლებულესი თავ. პ. ა. გრუზინსკი. საბჭოს წევრებად: პ. ი. ყიფიანი (30 თეთრი და 3 შავი), ფირალოვი (20 თეთრი და 13 შავი), მდივნად—ე. ი. იოსელიანი (29 თ. 5 შ.), ხაზინადრად ა. ა. ევანგულოვი (27 თეთრი 6 შავი.) საბჭოს წევრობა სთხოვეს თავ. ი. ვ. ანდრონიკაშვილს და ა. ა. ქალანთარს, მაგრამ ორივემ უარი განაცხადა. დაასახელეს აგრეთვე მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი სულთან-კრიმ-გირეი და სასოფლო-სამეურნეო ბანკის დირექტორი თავ. ვ. ს. მიქელაძე, მაგრამ, რადგან ისენი კრებას არ დაესწრნენ, ყუთები აღარ დაუდგეს.

*** როგორც საფრანგეთიდგან გვწერენ, მომპელიეში მყოფ მოსწავლე ქართველებს ქართული წიგნთსაცავი დაუარსებიათ ამ ქალაქში. დამაარსებელნი სთხოვენ ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს და გამომცემლებს არ დაიშურონ თავიანთი გამოცემანი და გაუგზავნონ თითო ეგზემპლიარი. ადრესი: Bibliothèque russe. Section georgienne. Montpellier (Hèrault) Jrance.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მიჰმართა ტფილისის გუბერნიის გამგეს და სთხოვა მალე იქმნას განხილული საზოგადოების შუამდგომლობა ალექსანდრეს ბაღში მიწის ნაჭრის დათმობის შესახებ სამეურნეო იარაღთა საწყობის გასამართავად.

*** ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ კნ. ა. ამილახვარმა სთხოვა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას დაუთმოს თავისი დარბაზი საქველ-მოქმედო საზოგადოების ხუთის სკოლის მოსწავლეთა ხელ-საქმისა და ნაქსოვ-ნაქარგის გამოფენის გასამართავად. გამოფენა იქმნება 4, 5, 6 და 7 აპრილს, დილის 12 საათიდგან საღამოს 5 საათამდე.

*** გუშინ, 26 მარტს, სახალხო კითხვების კომისიამ შუამდგომლობა აღძრა საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ გადასცენ კომისიას საჭირო ფული პუშკინის თხზულებათა კრებულის 1000 ცალის და ამდენისავე იმის სურათის საყიდლად, თუ სურათები წიგნს არ ექმნება დართული, და 26 მაისს სახალხო კითხვებზედ მოსიარულე საზოგადოებისთვის დასარიგებლად. კომისია სთხოვს, თუ საბჭომ საჭიროდ სცნო ფულის გადადება, წიგნებისა და სურათების შეძენა ქალაქის გამგეობას მიანდოს.

*** ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას და სთხოვა, რომ ნორიოს ქუჩასთან ლიანდაგს ნუ შეჰკრავთ, რათა ხალხს შეეძლოს გადასვლა და გადმოსვლაო. გუშინ, 26 მარტს, რკინის გზის გამგეობამ აცნობა, არავითარი მიზეზი არ არის, რომ ლიანდაგი ამ ადგილას არ შეიკრას, რადგანაც ხევზედ გადებულ ხიდის ქვეშაც შეიძლება გასვლა; ეს გასასვლელი არაფრით არ ჩამოუვარდება ქალაქის სხვა ქუჩებს; ხან და ხან წყალი სხვა ქუჩებზედაც ისევეა, როგორც აქ. დიდს წვიმების დროს ხალხს შეუძლიან მოუაროს და ლიანდაგზედ გადებულ ხიდზედ გაიაროსო. არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ის ხიდი, რომელზედაც გავლას ურჩევს გამგეობა, ნორიოს ქუჩიდგან თითქმის ერთის ვერსის მანძილზედ მდებარეობს და ასეთის დიდის მანძილის გავლა, რასაკვირველია, ადვილი არ არის.

*** გუშინ, 26 მარტს, სავაჭრო სამეურნეო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა ა. გ. ჯაბადარმა აცნობა გამგეობას, რომ საჭიროა პურის ნიხრი დაკლებულ იქმნასო.

*** იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს პარიჟის გამოფენაზედ კავკასიის ექსპონატების გაგზავნა, აზრადა აქვს მიჰმართოს ადგილობრივ სოფლის მეურნეთ და სთხოვოს დახმარება აღმოუჩინონ და მიაწოდონ კომისიას ყველა ის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, რის გაგზავნაც შესაძლებელია გამოფენაზედ.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ აზრადა აქვთ ქუთაისის გუბერნიაში მეაბრეშუმეობის გამოფენა გამართონ. როგორც გაზეთები იუწყებიან, კავკასიის უმაღლეს მთავრობას შეუწყნარებია შუამდგომლობა ამის შესახებ.

*** „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ოტტო ასტრახანში გადაჰყავთ, ხოლო იმის ადგილას გადმოჰყავთ სტავროპოლის ოლქის სასამართლოს ოლქის ბრალმდებელი ნიმანდერიო.

*** როგორც გაზ. „კავკ.“-ი იუწყება, მთავარმართებლის კანცელარიამ მოითხოვა ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არიან ამ ჟამად უვაკილით ავადმყოფნი თელავის მაზრის სოფლ. გულგულას, და კაგრანეთში და კიდევ მძინვარებს ეს ავადმყოფობა დასახელებულ სოფლებში თუ არა.

*** ქალაქის გამგეობამ, მოისმინა რა გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის თხოვნა იმის შესახებ, რომ აგვიანიძეს ეპატიოს მისის ქონების დაფასების მეტი გარდასახადი, დაადგინა სთხოვოს საბჭოს ამ გარდასასახადისა და ჯარიმისაგან აგვიანიძე განთავისუფლებულ იქმნას.

*** 25 მარტს, რკინის გზის ლიანდაგზედ, „Свѣтъ“-ის ნავთის ქუხის მახლობლად, ჰპოვეს გვამი კონდუქტორის ასკენოვისა.. ასკენოვი ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ მოუკლავთ. ეჭვი მიიტანეს ლიანდაგის ერთს დარაჯზედ. მოკლულს დარჩა ცოლი და 7 შვილი.

*** „კავკას“-ს სწერენ, რომ ამას წინად ახალციხის მახლობლად ბოროტ-გამზრახველთ, რიცხვით ექვსმა კაცმა გაჰქურდეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი უარმან და სამსონ მინაშვები და წაართვეს მათ 115 მან. 50 კაპ. და ნივთები. რამდენიმე კაცი უკვე შეუპყრიათ.

*** აზრადა აქვთ კოჯორის გზის ორსავე მხარეს, ტფილისიდგან კოჯორამდე ხეები გააშენონ. შემაშულეებმა თავ. გ. ი. ორბელიანმა, თავ. ნ. ა. ბებუთოვმა, კნ. ა. ბარათაშვილისამ, გ. მირზოევმა და სხვათ უსასყიდლოდ დაუთმეს თავიანთ ტყიდგან ამ საქმისათვის ხეები, ხოლო ახლო მდებარე სოფლების გლეხებმა მიიტანეს და ჩარგეს ხეები. ტაბახმელაში ამ გლეხებს, 600 კაცს, სადილი გაუმართეს შემაშულეთ.

*** რადგანაც ზოგიერთმა მგზავრებმა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაში საჩივარი შეიტანეს, რომელშიაც ამბობენ, რომ ზილეთის ყიდვის დროს ხშირად კასსირები ხურდას აღარ გვაძლევენო, გამგეობამ განკარგულება მოახდინა, ყველა სადგურის კასსაში საკმაო ხურდა ფული იქონიონ და მისცენ ხოლმე მგზავრებს.

*** ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ ქალაქის სამკურნალოსთან არსებულ აფთიაქში ფარმაცევტთა რიცხვი გამრავლებულ იქმნას. გამგეობამ, განიხილა რა ეს შუამდგომლობა, დაადგინა წარუდგინოს განსახილველად ეს საგანი საბჭოს; ამ ჟამად კი მიეცეს ფარმაცევტებს ჯილდო თითოს 50 მანეთი. ამას გარდა მოწვეულ იქმნას დროებით ერთი ფარმაცევტი და ერთიც ფერშალი.

*** ამ ბოლო დროს ტფილისის ყასბებმა ძალიან მოუხშირეს თავიანთ დუქნებში საქონლის დაკვლას და არა საყასბოში, როგორც წესად არის მიღებული. ამას წინად

---

რის სურათებია დაბეჭდილი, ხალხი რკინის გზის სადგურებში უხვდება და ტაშის ცემით ეგებება. ასეთს გმირს მრავალი კაცი მოსდის სხვადასხვა უნივერსიტეტიდგან: ფალავნობის მასწავლებლად და სხვების გასაწურთნად იწვევენ.

როგორც უკვე ვთქვი, ბრძოლა და შეტაკება კლასებსა და კურსებს შორისაც არის. ასე გასინჯეთ, ეს კლასები ისე არიან განცალკევებულნი ერთი-ერთმანეთისაგან, რომ მათ შორის არავითარი ერთობა არ არის. მეოთხე კურსის სტუდენტი ძალიან იშვიათად ჩამოართმევს ხელს მეორე კურსის სტუდენტს, პირველისას ხომ ზედაც არ შეჰხედავს. მაგრამ ყველაზედ მეტი მტრობა პირველ ორს კურსის შორის ჰსუფევს. ამ კურსებს განუწყვეტელი ომი აქვთ. მეორე კურსის სტუდენტები თავი ვალდებულად სთვლიან ახლად შესული სასაცილოდ აიგდონ, სცემონ, შეარცხვინონ ან სხვა რამ უპატიურება მიაყენონ. ხშირად დაჰხვდებიან ხოლმე ასეთს ახლად შესულს სადმე ბნელსა და მიყრუებულს ქუჩაში, ჩასვამენ დახურულს ეტლში და გააქცევენ ქალაქს გარედ. იქ გაჰხდიან საცმელს, შეუღებავენ ტანს ლურჯისა, ან ყვითელის საღებავით და პერანგის amara გამოისტუმრებენ შინ ან კიდევ მდინარეში ჩასვამენ და რამდენსამე ხანს აბანავებენ ცივს წყალში. ძალიანაა გავრცელებული პირველ ორ კურს შორის „ჯოხით ომი“. ორივე კლასის სტუდენტები დანიშნულ ადგილს მიდიან და მოკლე, მარჯვე ჯოხებით ომს იწყებენ. ნახევარ საათის შემდეგ ბრძოლის ველი სისხლითაა ხოლმე მორწყული და ბევრიც გულ-წასული გდია. ეს ორი კლასი მუდამ ერთმანეთის დარაჯშია, მუდამ სცდილობს ერთი, რამე ხრიკი უგდოს მეორეს. აი რას მოგვითხრობს ხსენებულ წერილის ავტორი: „ნიუ-იორკის ერთის ინსტიტუტის მეორე კლასის სტუდენტებმა ხელის მოწერით ქალაქის საუკეთესო რესტორანში სადილი გამართეს. დანიშნულ დროს ახალის ფრაკით და ყელსახვევით გამოწყობილი სტუდენტები გაუდგნენ გზას, მაგრამ როდესაც მიუახლოვდნენ მდინარეს, რომელზედაც ბორნით უნდა გასულიყვნენ, თავს დაესხნენ მოკლე ჯოხებით შეიარაღებულნი პირველ კლასის სტუდენტნი. მაშინვე ზედახორა გაიმართა და როგორც ერთნი, ისე მეორენი საკმაოდ დაშავდნენ და ამოითხუპნენ ტალახში (ეს ამბავი ავდრის შემდეგ მოხდა). პირველის კურსის სტუდენტებმა წინადვე იცოდნენ, რომ საქმე ასე იქნებოდა და ძველი ტანისამოსი ჩაიცვეს, ამიტომ მათ ბევრიც არაფერი წააგეს. სამაგიეროთ, მეორე კურსის სტუდენტები საცოდავს სურათს წარმოადგენდნენ: ტალახში ამოთხუპნულ-ამოსვრილთ ზოგს ახალის ფრაკის ბოლო ჰქონდა მოგლეჯილი, ზოგს სახელო, ზოგს ყელ-სახვევი ჰქონდა შუაზედ გაწყვეტილი და ზოგს კიდევ რა. რასაკვირველია, სადილის ფიქრს თავი დაანებეს და დაძმარებულნი და ცხვირ-ჩამოშვებულნი შინ დაბრუნდნენ“.

როგორც ხედავთ, ხანდახან საქმე სახუმაროდ არ თავდება. დღემდის ამერიკაში არავინ არაფერს ამბობდა სტუდენტების ასეთ გასართობების შესახებ, დღეს-კი ბევრი პროფესორი და მასწავლებელი აღუდგა წინ ასეთს თავის გართობას და სცდილობს იმათ მოსპობას. ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად რამდენიმე კრებაც-კი ჰქონდათ უნივერსიტეტების პრეზიდენტებსა და პროფესსორებს. თუმცა ჯან-მრთელობისათვის ასეთს გასართობებს კარგი შედეგი არს, მაგრამ სამაგიეროდ სწავლა-განვითარების საქმე დიდად ჰზარალობს: ამ გასართობებს სტუდენტობა ხანდახან რამდენსამე თვეს უნდება ხოლმე.

მაგრამ ამერიკელ სტუდენტთა შორის, ამ გასართობ და საგიმნასტიკო საზოგადოებათა გარდა, სხვაც მრავალი საზოგადოება არსებობს, როგორც, მაგალითად, სალიტერატურო, საორატორო და სხვანი. სალიტერატურო საზოგადოებათა საგანი ის არის, რომ წევრები მწერლობას შეაჩვიონ, ეს საქმე შეასწავლონ. უფრო ნიჭიერნი წევრნი სწერენ მოკლე მოთხრობებს, პოემებს, ლექსებს და შემდეგ ყველა ამას საზოგადო კრებას უკითხავენ. ყველაზედ უფრო ძალიან გავრცელებულია სამჭერმეტყველო საზოგადოებანი. ასეთ საზოგადოების საგანს შეადგენს კამათი ამა თუ იმ საგნის შესახებ. კითხვით არაფერს არ კითხულობენ, რაიმე საგანს წამოაყენებენ და ამ საგნის შესახებ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეკამათებიან. ისეთ სახელმწიფოში, როგორიც ამერიკაა, სადაც ყველგან კამათი და ლაპარაკია საჭირო,—ასეთს საზოგადოებას დიდი მნიშვნელობა აქვს: რესპუბლიკის მომავალნი მოქალაქენი სკოლაშივე ემზადებიან სამჭერმეტყველოდ, იქვე სწავლობენ გამოთქმას, მოწინააღმდეგე აზრის კაცთან შებმას და იმის საბუთების გაბათილებას. ჩვეულებრივ ასეთ საზოგადოების კამათს ესწრებიან უნივერსიტეტის პროფესორები, რომელნიც ამავე დროს მოსამართლეებადაც არიან. როდესაც კამათი ამა თუ იმ საგნის შესახებ სრულდება მოწინააღმდეგეთა შორის, ისინი თავიანთ მსჯავრსა სდებენ და აცხადებენ, ვინ არის გამარჯვებული და ვინ არა. კამათი იმართება ორ საზოგადოების წევრთა შორის, ხანდახან ორის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორისაც. ამ შემთხვევაში კამათს მრავალი ხალხი ესწრება და გაზეთებშიაც იბეჭდება ხოლმე ანგარიში.

ყველა უნივერსიტეტსა და უმაღლესს სასწავლებელს თავისი „yell“-ი აქვს გამოგონილი. „yell“-ი ერთგვარი ნიშანია, რომლის წამოძახებით სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები შეხვედრის დროს ერთმანეთს მიეგებებიან ხოლმე. ამასთან ისეთ ყვირილსა და ჟრიამულს ასტეხავენ ხოლმე, რომ ხშირად პოლიციაც-კი ერევა საქმეში. აი, მაგალითად, ჩიკაგოში არსებულ არმურის სახელობის სატეხნოლოგიო ინსტიტუტს რა ნაირი ნიშანი აქვს:

**Ra-ra! Ra-ra!**
**Ra-ra! Ra-ra!**
**A-r-m-o-u-r**
**Armour!**

ყველა ზემო დასახელებულ საზოგადოების გარდა, ამერიკის სტუდენტთა შორის საიდუმლო საზოგადოებანიც არსებობს. ასეთის საზოგადოების წევრები ვალდებულნი არიან, ყველა ის, რაც ამ საზოგადოებაში ხდება, საიდუმლოდ შეინახონ და სიტყვა არავისთან დასძრან. საზოგადოება ირჩევს დევიზს, რომელიც ორის, ან სამის ბერძნულის სიტყვისაგან შესდგება. ეს სიტყვები მხოლოდ წევრებმა იციან. მაგრამ ამ სიტყვების პირველი ასოები საზოგადოების ოფიციალურ სახელს შეადგენ. ასეთი სახელებია, მაგალითად, დელტა-კაპპა ეპსილონ, ბეტა-ტეტა-თეტა, ფი-გამმა-დელტა და სხვა. არ იფიქროთ, რომ ეს საიდუმლო საზოგადოებანი სახელმწიფოს, ან სხვის წინაღმდეგ რასმეს სჩადიოდნენ. ასეთი საზოგადოება პირველად დაარსებულა 1776 წელს, როდესაც ამერიკის დამოუკიდებლობა იქმნა გამოცხადებული. მაგრამ პოლიტიკური

ასაბს ალექსი მანუჩაროვს დაუკლავს დუქანში ხბო. მანუჩაროვი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

⁂ ახალციხიდგან სწერენ „მშაკს“, რომ აქ ძალიან არის გავრცელებული ბავშვებს შორის სხვა-და-სხვა გადამდები სენიო. განსაკუთრებით ქუნთრუშა მძვინვარებსო.

## უცხოეთი

**ავსტრო-უნგრეთი.** უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტი კოლომან სელი და სამხედრო მინისტრი ბარონი ფეიერვარი ამ რამდენისამე დღის წინად ვენაში იყვნენ. მეფესთან ყოფნის შემდეგ, სელმა ნახა ერც-ჰერცოგები ფრანც-ფერდინანდი, ოტტო და ლიუდოვიგ-ვიქტორი, ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლები და პაპის ნუნცი. შემდეგ სელი გარეშე საქმეთა მინისტრ გრაფ გოლუხოვსკისთან მივიდა, რომელთანაც შემდეგ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა, და შემდეგ წავიდა ავსტრიის მინისტრ-პრეზიდენტ გრ. ტუნთან. როგორც ამბობენ, სელს იმ განზრახვით უმოგზაურნია ეხლა ვენაში, რომ ავსტრიის მთავრობას მოლაპარაკებოდა სამხედრო უწყებაში ცვლილების შემოღებისა და ოფიცრებისათვის ჯამაგირების მომატების შესახებ. ამის გარდა ავსტრიისა და უნგრეთის ერთმანეთთან შეთანხმების შესახებაც უნდა ჰქონოდათ ლაპარაკი, რადგან რეიხსტრატი მხოლოდ შემოდგომაზედ შეიკრიბება, როცა უნგრეთის პარლამენტს წარდგენილი ექმნება განსახილველად პროექტები 1903 წლამდე შეთანხმების შესახებ.

როგორც ჰფიქრობენ, სამხედრო ბიუჯეტს, წარსულ წლებთან შედარებით, შესამჩნევად უნდა მოემატოს. განსაკუთრებით სცდილობენ თურმე სამხედრო ფლოტისათვის ხარჯის მომატებას, რათა ავსტრო-უნგრეთმაც, სხვა სახელმწიფოების მიბაძვით, საპატიო ადგილი დაიკავოს აზიის შორეულ აღმოსავლეთში.

—

**ინგლისი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ირლანდიის ფენიებს (საიდუმლო საზოგადოების წევრნი), რომელთა შესახებ დიდი ხანია აღარა ისმოდა-რა, იმდენი უმეცადინიათ, რომ ისევ მიუქცევიათ საზოგადოების ყურადღება. ამ დასის წევრები, რომელთაც ერთად-ერთ საშუალებად ირლანდიის განთავისუფლებისათვის ძალ-მომრეობა მიაჩნიათ, შეუმჩნევლად მოსდებიან მთელს ირლანდიას და ინგლისს. ფენიების მოთავეები თანახმანი არ არიან არც ნაციონალისტებისა და არც პარნელისტებისა, რომელთა მოთხოვნილებებს ერთობ მცირედ მიაჩნიათ. ფენიებს აზრად აქვთ სრულიად ჩამოაშორონ ირლანდია ინგლისს და ეროვნული წეს-წყობილება შემოიღონ იქ. ფენიების გაზეთის „Irish World“-ის რედაქტორი პატრიკ ფორდი ამერიკაში მიემგზავრება თურმე, რათა იქ საჭირო ფულები შეაგროვოს თავისის დასის პროპაგანდისათვის. ინგლისის მთავრობას შესამჩნევად გაუძლიერებია საიდუმლო პოლიცია ინგლისისა და ირლანდიის ქალაქებში, რათა თვალ-ყური ადევნოს ფენიების მოქმედებას.

—

**აფრიკა.** როგორც უკვე ვიცით, ინგლისმა და საფრანგეთმა თითქმის მთელი აფრიკა გაინაწილეს ერთმანეთ შორის, ისე რომ სხვებისთვის, ე. ი. არც აფრიკის მკვიდრთა და არც ევროპის დანარჩენ სახელმწიფოთათვის, არცკი უკითხავთ ეს. ინგლისმა იგდო ნილოსის მთელი ხეობა, ე. ი. აღმოსავლეთი ნაწილი აფრიკისა, ხოლო საფრანგეთმა დასავლეთი მხარე. ამნაირად, ამ ორ სახელმწიფოს ერთმანეთთან უკმაყოფილების მიზეზი მოესპოთ აფრიკაში, მაგრამ სამაგიეროდ ევროპის სხვა სახელმწიფოები დარჩნენ გულნატკენი. ოსმალეთს, იტალიას და გერმანიას ყველას თვალი ეჭირათ აფრიკისაკენ და ყველანი ამა თუ იმ სარგებლობას გამოელოდნენ იქიდგან. ამისათვის თითოეულმა მათგანმა ხმა ამოიღო ინგლის-საფრანგეთის ახალ ხელშეკრულობის წინააღმდეგ. საინტერესოა გერმანულ გაზეთების აზრი ამ საგნის შესახებ. მათის სიტყვით, ევროპის საქონელთაგან, რომელნიც ტრიპოლიდგან სახარასა და სუდანში იგზავნება, იქაურ საქონელზედ გასაცვლელად ანუ გასასყიდად, მთელი ერთი მესამედი გერმანიის ნაწარმოებს შეადგენს. გერმანიას ამიტომ შეუძლიან მოითხოვოს, რომ თავისუფალი გაჭრობის ნება ჰქონდეს ტრიპოლისა და ჩადის ტბის შორის მდებარე ადგილებში მაინც. ჩადის ტბის ჩრდილოეთ ნაპირას რომ ადგილს შეიძენდეს გერმანია, ეს საჭიროც იქმნება გერმანიის ინტერესების დასაცველად და სამართლიანიცაო, ამბობენ იგივე გაზეთები.

—

**იტალია.** გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი კანევარო სამსახურს თავს ანებებსო. ამბობენ, ვითომც მას თითონ ეთქვას, რომ დავიღალე, საზოგადოდ პოლიტიკოსიც არა ვარ და ამიტომ მოსვენებას უნდა მივსცე თავიო. იმასაც ამბობენ, ვითომც ჩინეთის საქმის გამო უსიამოვნება ამტყდარიყოს მინისტრ-პრეზიდენტ პელუსა და კანევაროს შორის და ამიტომ გადიოდეს სამსახურიდგან ეს უკანასკნელი, რომლის თავიდგან მოშორება პელუსაც ჰქონოდეს აზრად.

—

**ოსმალეთი.** კონსტანტინეპოლში ყურადღებას მიუქცევიათ იმ გარემოებისათვის, რომ ლორდი როზბერი, რომელმაც რამდენიმე დღე დაჰყო ოსმალეთის სატახტო ქალაქში, ერთხელაც არ უნახულებია თურმე ხონთქარს. ჩვეულება-კი ასეთი ყოფილა და ბევრსაც ასე ჰგონებია, რომ ინგლისის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწის პატივსაცემლად სადილი გაიმართება იილდიზ-კიოსკშიო. ამ გარემოების მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ხონთქარსა და როზბერის ეჯავრებათ ერთმანეთი მას შემდეგ, რაც სომხების არეულობა მოხდა, რომელთაც მფარველობას უწევდა ლორდი როზბერიო.

—

**ჩინეთი.** ჩინეთის იმპერატრიცას ბრძანება გაუგზავნია ზღვის პირა ოლქებისა და ზღვის ქალაქების უფროსებისათვის, რომ არამც და არამც ვისმეს ნება არ მისცეთ ხმელეთზე გადმოსვლისა ევროპის სამხედრო გემებიდგან, და თუ ვინმე ძალათ მოინდომებს ამ განკარგულების დარღვევას, თქვენც ძალა იხმარეთ, ოღონდ-კი შესრულებულ იქმნას ჩემი ბრძანებაო. ასეთი განკარგულება, როგორც ჰფიქრობენ, იმან გამოიწვია, რომ ინგლისის დიპლომატიამ უკანასკნელ ხანებში მხარი დაუჭირა ბელგიას, რომელიც სცდილობდა ადგილის შეძენას შანხაიში. ამის სამაგიეროდ ინგლისს პირობა ჩამოურთმევია ბელგიისათვის, რომ აფრიკის საქმეებში ხელი მომიმართე საფრანგეთის წინააღმდეგო.

— ლორდ ბერესფორდს შეუძლევია სესხად ჩან-ჩჟი-დუნის ვიცე-კოროლისათვის 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი 2%-ად, 200,000 ჯარის-კაცთა შესაგროვებლად და გასაწრთვნელად ინგლისელების ხელმძღვანელობით. ჩინეთის მთავრობას უნდა ეძლია მისთვის ყოველ-წლობით თითო მილიონი დოლარი და მთელი ვალი უნდა გარდაეხადა 20 წლის განმავლობაში. მაგრამ გერმანიის ელჩს შეუტყვია, ასეთს წინადადებას აძლევს ჩინეთს ბერესფორდიო და ჩაუშლია საქმე. ჩინეთის მთავრობისათვის, სხვათა შორის, დაუსახელებია გერმანიის ელჩს ეგვიპტე, საცა ინგლისმა ფეხი მოიკიდა და გამაგრდა ასეთის საშუალებითო.

იაპონიის წარმომადგენელს მარკიზ იტოს და ჩინეთის მთავრობას კი ნამდვილად დაუდვიათ პეკინში საიდუმლო ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც იაპონია კისრულობს ჩინეთის ჯარის გაწვრთნას, რისთვისაც ჩინეთი დიდს უპირატესობას ანიჭებს იაპონიას ყოველ გვარ სავაჭრო საქმეებში და სხვა სახელმწიფოებთან შედარებით დიდს მფარველობას უწევს იაპონიის ვაჭრებს. საქმე იმითი დაიწყობა, რომ წრეულსავე ევროპიელ სამხედრო ინსტრუქტორებს დაითხოვს ჩინეთი და მათს ადგილს დაიჭერენ იაპონელები. ეხლავე იგზავნება თურმე ჩინეთიდგან იაპონიაში დიდ-ძალი ფული სხვა-და-სხვა საქონლის საყიდლად. უკანასკნელ აღლუმის დროს ჩინეთის ასი აფიცერი ყოფილა იაპონიაში, და თითოეულს მათგანს ორდენი მიუღია. ამ დღეებში ჩინეთიდგან რამდენიმე ასი კაცი წასულა იაპონიაში სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად, სადაც მუქთად შეინახვენ მათ სამის წლის განმავლობაში.

## დამკვირდი

მოსვენებისა მდომელმან
თავი ვეროდეს იქისა,
მცონარმა ბედნიერობა
ჯიბეთა ვერ ჩაიქისა!

სულხან საბა

***

შვნა სჯობს ტასტსა, გვირგვინსა, —
სირცხვნე მოუხმარია.

როსტომიანი

***

მეფე იგი არს, რომელსა ძალ-ედვას
უფლებაჲ ვნებათა ზედა მავნებელთა,
და მძლე ექმნას გულის თქმათა.

ხელნაწერი (1586 წლ.)

---

ხასიათი ამ საზოგადოებათ არც მაშინა ჰქონდათ. წევრები უფრო ლიტერატურას მისდევდნენ. ამისდა მიუხედავად, ყველაფერს საიდუმლოდ ინახავდნენ და არავის არაფერს უმჟღავნებდნენ. 1820 წელს ერთის საზოგადოების წევრმა ვილიამ მორრისმა გამოაქვეყნა საზოგადოების საიდუმლონი. მეორე თუ მესამე დღეს ვილიამ მორრისა სადღაც გაჰქრა: პოლიციამ ვეღარც ცოცხალი და ვეღარც მკვდარი ვერ იპოვნა. საზოგადოება ამ ამბავმა ძალიან ააღელვა: ყველასათვის აშკარა იყო, რომ მორრისი ამხანაგებმა მოჰკლეს საიდუმლოს გამომჟღავნებისათვის. მთავრობამაც ეჭვის თვალით შეხედა საზოგადოებას. მაშინ ამ უკანასკნელმა ნიღაბი აიხადა და როგორც თავისი წესდება, აგრეთვე სხვა ყველაფერი გამოაქვეყნა. დაინახეს, რომ ამ საზოგადოების საგანი ისეთი არაფერი იყო, რის წინააღმდეგაც მთავრობას ჰქონოდა რამე.

საიდუმლო საზოგადოებაში შესვლა მეტად ძნელი საქმეა. შემსვლელი ჯერ უნდა გამოსცადონ და გაიგონ, რამდენად ღირსია იგი ამ საზოგადოების წევრობისა. „გამოცდა“ ათას გვარია. ზოგი „გამოცდა“ სასაცილოც-კია. კანდიდატმა, მაგალითად, კბილის საწმენდით რამდენისამე საათის განმავლობაში ქუჩა-ქუჩა კაკალი უნდა აგოროს, ან წაღები უწმინდოს გამვლელ-გამომვლელთ, გაზეთები ჰყიდოს და სხვა. მაგრამ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც კანდიდატი ასე ადვილად ვერ გადარჩება. სხვათა შორის ორი ასეთი შემთხვევაც იყო: ეროს კანდიდატს თვალებახვეულს მთელი ქუჩა უნდა გაევლო. როდესაც შუა ქუჩას მიატანა, გაქანებული ეტლი დაეჯახა და სასიკვდილოთ დაამავა; მეორე—დიდს ხრამში გადავარდა და იქვე სული განუტევა.

ყველა საზოგადოებას თავისი საკუთარი სახლი აქვს, სადაც მოთავსებულია კანცელარია, წიგნთ-საცავი, სამკითხველო, დარბაზი კრებებისათვის და სხვა. საიდუმლო საზოგადოებათა ქონება ერთად 5 მილიონ მანეთს აღემატება თურმე. საზოგადოებას თავისი პრეზიდენტი, რამდენიმე ვიცე-პრეზიდენტი, მდივანი, ხაზინადარი ჰყავს. ამ თანამდებობის კაცთა არჩევის დროს ისეთივე ბრძოლაა წევრთა შორის, როგორიც რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევანების დროს. ყველა დასი აქებს თავისს და აძაგებს მოწინაამდეგის კანდიდატს, აკრავს კედელზედ განცხადებებს, რომელთა შემწეობით იწვევს წევრებს, ამა და ამ კანდიდატს ჩაუგდე თეთრი კენჭი, ამა და ამას შავიო.

არსებობს: აგრეთვე სამუსიკო, საცეკვაო, სასულიერო. საზოგადოებანი ამ უკანასკნელ საზოგადოების წევრნი ბეჯითად სწავლობდა საღმრთო წერილს, ეკკლესიაში დადიიან, მარხულობენ, საეკკლესიო საუბრებს მართავენ, ქადაგებებს ამბობენ და სხ.

ამერიკის სტუდენტთა ცხოვრებაში თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს სასტუდენტო ჟურნალ-გაზეთებსაც. ასეთი ჟურნალი და გაზეთი მრავლისაგან-მრავალია. ყველა უნივერსიტეტში რამდენიმე გაზეთი იბეჭდება. არამც თუ თითო კურსს საკუთარი გაზეთი აქვს, არამედ ხშირად ერთი და იგივე კურსი რამდენსამე ჟურნალ-გაზეთს ჰბეჭდავს. ჟურნალ-გაზეთები სამს ჯგუფად გაიყოფება: ყოველ-დღიური, ყოველ-კვირეული და ყოველ-თვიური. ამათში ყველაზედ ნაკლები ყოველ-დღიურია და ბევრი—ყოველ-კვირეული. ყოველ-დღიური გაზეთები სხვა-და-სხვა ზომისაა, ზოგი დიდია, ზოგიც პატარა. იბეჭდება ამ გაზეთებში საკუთარს უნივერსიტეტსა და სხვა უნივერსიტეტში მომხდარი ახალი ამბები, სტუდენტთა საზოგადოებათა კრებების ანგარიშები, წერილები ჭიდაობისა, ბურთაობისა და ცურაობის შესახებ და სხვა. მეთაურ წერილებში უმეტეს ნაწილად სტუდენტთა საჭიროების შესახებაა ლაპარაკი. ხშირად ამა თუ იმ პროფესსორს, უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინააღმდეგაც სწერენ ხოლმე.

როგორცა ვთქვით, უფრო გავრცელებულია ყოველ კვირეული გაზეთი. ზემოხსენებულ წერილის ავტორს მოჰყავს ერთის ასეთის გაზეთის ნომრის შინაარსი. ამ გაზეთს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სტუდენტები ჰბეჭდავენ. პირველ სამ გვერდზედ დაბეჭდილია როგორც სასტუდენტო, აგრეთვე საზოგადო ახალი ამბები; ახალ ამბებს მოსდევს ანგარიში სტუდენტთა მიტინგისა, შემდეგ დაბეჭდილია საპოლემიკო წერილი ადგილობრივ გაზეთების წინააღმდეგ, რომელთაც ავტორი უსაყვედურებს, ნაკლები ადგილი დაუთმეთ თქვენს გაზეთებში სტუდენტთა მიტინგის ანგარიშსაო. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე გვერდზედ ლაპარაკია ბურთაობის შესახებ, აწერილი სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის შესაანიშნავ მობურთავეთა ღირსება-ნაკლულევანება და სხვა. დასასრულ მოთავსებულია საოხუნჯო ფელეტონი, რომელსაც ქვეშ „ყბედი“ აწერია. ეს „ყბედი“ თავისს წერილში საოხუნჯო კილოთი სტუდენტების ცხოვრებას შეეხება, დასცინის მათს ნაკლულევანებას, აქებს კარგს თვისებას და სხვა.

შინაარსით ყოველ დღიურ და ყოველ კვირეულ გაზეთებს თვიური ჟურნალები სჯობია. ასეთ ჟურნალებში პროფესორებიც იღებენ მონაწილეობას და ხშირად საყურადღებო წერილები იბეჭდება. ბევრჯელ შეჰხვდებით ასეთ წერილებსაც: „მუშათა დაქირავების სისტემა“, „ასტრონომიის შესწავლა“, „როგორ სცხოვრობენ ღარიბი სტუდენტები“ და სხვა.

რადგან ღარიბი სტუდენტები მოვიხსენიეთ, დასასრულ ორიოდე სიტყვას იმათ შესახებ ვიტყვით. საზოგადოდ ამერიკაში იმდენი ღარიბი სტუდენტი არ არის, რამდენიცაა სხვა რომელსამე სახელმწიფოს უნივერსიტეტში. ეს გარემოება აიხსნება უნივერსიტეტის სიმრავლით: თითქმის ყველა ქალაქშია უმაღლესი სასწავლებელი, სტუდენტს შორს წასვლა არ უხდება, თავისს, თუმცა ღარიბს, სახლშივე სცხოვრობს და მეტი ფული აღარ ეხარჯება. მაგრამ ისეთი ღარიბი სტუდენტიც ბევრია, რომელიც თავისს ქალაქში არა დგება და სხვა სახელ-გათქმულ უნივერსიტეტში შედის. რადგანაც ამ უნივერსიტეტებში სწავლის ფასი დიდია და იქ ცხოვრებაც ძვირია, სტუდენტს მეტი ფულიც სჭირია. გაკვეთილების ძლევა ამერიკაში მაგრე რიგად არ არის გავრცელებული, ამიტომ სტუდენტები იქ უფრო სხვა საქმესა ჰკიდებენ ხელს. ხშირად შეხვდებით სტუდენტს შაბათობით (შაბათობით სწავლა არ არის) და კვირაობით სადილაქოში, სადაც მუშტარს თავსა ჰკრეჭავს, ან ამა თუ იმ სახლის კედელზედ აყუდებული ფანჯრებსა სწმენდავს. იატაკების დასუფთავებასაც არა თაკილობს ამერიკელი სტუდენტი. ზოგი ქუჩა-ქუჩა გაზეთებსა და წიგნებსა ჰყიდის, ზოგიც კიდევ სასტუმროებში ლაქიის თანამდებობას ასრულებს.

ასე და ამ რიგად სცხოვრობს და ატარებს დროს ამერიკელი სტუდენტი.

ი. ა—ძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთმა სკოლის მასწავლებელმა-ქალმა დაბეჭდა ერთს ფრანგულს ჟურნალში წერილი, რომელშიაც ბავშვის ფსიხოლოგიას შეეხება და ამასთან აღნიშნავს იმ განსხვავებას, რა განსხვავებაც ქალაქელსა და სოფლელ ბავშვს შორის ჰსუფევს. მასწავლებელ-ქალის აზრით, სოფლელ ბავშვს ყოველთვის უფრო მეტი დაკვირვება და საკუთარის გონების მუშაობა ეტყობა, ვიდრე ქალაქელ ბავშვს. სამაგიეროდ ცოდნით ქალაქელმა ბავშვმა უფრო ბევრი იცის, ვიდრე სოფელმა, რადგანაც მეტი უნახავს და გაუგონია. ერთი და იგივე საგანი სოფლელსა და ქალაქელს ბავშვს სხვა-და-სხვა ნაირად ესმის. ზემოხსენებულ მასწავლებელ-ქალს შემდეგი კითხვით მიუმართნია როგორც სოფლელ, აგრეთვე ქალაქელ ბავშვებისათვის: „რა არის პროფესორი“? და „რა არის პარლამენტის წევრი?“ ერთ ბავშვს უთქვამს: „პროფესორი ის კაცია, რომელიც ისტორიებსა სწერავს“, მეორეს: „ეს ის კაცია, რომელიც სწერავს და ადგენს სხვა-და-სხვა წიგნებს“, „პროფესორი ისეთი კაცია, რომელიც არწმუნებს ქვეყანას, ყველაფერი ვიციო“, „პარლამენტის წევრი—ჟენტლმენია, რომელსაც ხალხი ირჩევს (ეს უკანასკნელი ქალაქელ ბავშვის ნათქვამია), „პარლამენტის წევრი—კაცია, რომელიც სცდილობს კანონების მოგონებას“. კითხვაზედ: „რა არის პოლიციელი?“ ქალაქელს მიუგია: „პოლიციელი ის ჯენტლმენია, რომელიც იმათ ადევნებს თვალ-ყურს, ვინც ცუდათ იქცევა“; სოფლელს: „პოლიციელი ის კაცია, რომელიც ქურდებსა და სხვა დამნაშავეებს იჭერსო“.

* * *

არც ერთ ქვეყანაში ცენზურა ისეთი სასტიკი არ არის და შემავიწროებელი მწერლობისა, როგორიც ოსმალეთშია. ოსმალეთში სულ უმნიშვნელო რამის დაბეჭდვის ნებას არ აძლევენ, სულ ერთია ორიგინალური იქმნება იგი თუ თარგმნილი. ოსმალეთის ცენზურამ, მაგალითად, არამც თუ ნება არ მისცა შილლერის თხზულებების დაბეჭდვისა ოსმალურს ენაზედ, არამედ მთარგმნელი აწამა და აწვალა და კინაღამ სიცოცხლესაც გამოასალმა. უმთავრესად ოსმალეთში გასავალი აქვს ფრანგულს რომანებს. იმათ მიბაძვით ოსმალეთის მწერლებმაც დაიწყეს ასეთის რომანების წერა. შილლერის თხზულებათა დაბეჭდვა ოსმალურს ენაზედ მოიწადინა ახალგაზდა მკურნალმა აბდულლა ჯევადმა, რომელსაც უმაღლესი განათლება ევროპაში აქვს მიღებული' თვით აბდულლამ კარგად იცოდა, რომ ასეთის თხზულებების გამოცემა, როგორიც არის „ყაჩაღები“ და „ვილჰელმ ტელი“ შილლერისა, ოსმალეთში შეუძლებელია; ამიტომ ეგვიპტეში გადავიდა და იქ შეუდგა საქმეს. საუბედუროდ, სტამბოლის მოხელეებს როგორღაც შეეტყოთ აბდულლას განზრახვა და მაშინვე ბრძანება გაეგზავნათ ახალ-გაზდა მკურნალის დაპატიმრებისა. მკურნალი ჯერ ციხეში ჩასვეს, ხოლო რამდენისამე თვის შემდეგ ტრიპოლში გადაასახლეს. როგორც იყო აქედგან ამხანაგების შემწეობით მოახერხა გაქცევა და საზღვარ-გარეთ გადასვლა. აბდულლა ჯევადი პარიჟში წავიდა, იქიდგან ჟენევაში, სადაც მიემხრო „ახალგაზდა ოსმალთა“ დასს. ამ ჟამად ჯევადი ამ დასის გაზეთის—„ოსმანლის“ რედაქტორია. ეს გაზეთი საზღვარ-გარეთ იბეჭდება.

* * *

ამერიკაში არსებობს მწერალ ქალთა ასოციაციები. ყოველთვის ამ ასოციაციის კრებებს აუარებელი ხალხი ესწრობა ხოლმე. ერთ ასოციაციის უკანასკნელ კრებაზედ ბევრმა ქალმა წაიკითხა მოხსენება, მაგრამ ყველაზედ მეტი ყურადღება მიიქცია ქ-ნ ალისა ივს ბრიდის მოხსენებამ იაპონელ ქალების შესახებ. ავტორი ამბობს, რომ იაპონიის დედა ქალაქ ტოკიოში ყოფნის დროს დავესწარი ქალთა ერთის კლუბის წევრთა კრებასაო. ლაპარაკი იყო ოჯახის საქმეების შესახებ. ერთმა იაპონელმა მანდილოსანმა ლაპარაკი აღძრა რძალ-დედამთილის დამოკიდებულების გაწეს-რიგების შესახებაც. საქმე ის არის, რომ იაპონელი რძალი ნამდვილი მონაა დედამთილისა. საზოგადოდ ოჯახში რძლის აზრს, იმის ხმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვიდრე თვით დედამთილი არ გახდება. ამ საგანმა ცხარე კამათი გამოიწვია თურმე ახალგაზრდა იაპონელ ქალთა შორის. ბევრმა ის ზომებიც აღნიშნა, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი იქმნება დედამთილების ფრთების შეკვეცა, მაგრამ ბოლოს უმრავლესობამ მაინც ის განაცხადა, რომ ეხლანდელი დედამთილები მოხუცებული ხალხია, ძველის აზრისა და შეხედულებისა, ამიტომ იმათ არაფერი მოეთხოვებათო; სამაგიეროდ ვეცადნენ, როცა დედამთილები გავხდებით, სულ სხვა ნაირად მოვიქცეთ და სხვა ნიადაგზედ დავაყენოთ ოჯახის საქმეო. ქ-ნი ბრიდი ქებითა და აღტაცებით იხსენიებდა თურმე იაპონელ ქალებს სხვათა შორის ისიც განუცხადებია, რომ იაპონელი ქალი არამც თუ დაეწევა ევროპიელ ქალს სწავლა-განათლების საქმეში, არამედ მალე გაუსწრებს კიდეცაო. ამ ჟამად შეერთებულ შტატებში ორი ახალგაზდა განათლებული იაპონელი ქალია თურმე. ეს ქალები იაპონიის მთავრობას გაუგზავნია ამერიკაში იქაურის საქველმოქმედო და აღმზრდელ დაწესებულებათა შესასწავლად.

# დეპეშა

24 მარტი

**პარიჟი.** „Figaro“-ში დაბეჭდილია როჟეს ჩვენების უკანასკნელი ნაწილი. როჟე იმეორებს, რომ „ბორდეროს“ ავტორი მხოლოდ დრეიფუსი უნდა იყვესო, თავისს სიტყვებს ამტკიცებს ტეხნიკურის მოსაზრებით, უარსა ჰყოფს იმ ხმებს, რომ ესტერგაზმა იშოვნა სროლის სახელმძღვანელოვო, და შემდეგ განმარტებას იძლევა გიდრავლიკურ ტორმოზის ცამზადების შესახებ, რომელიც არ შეიძლება სცოდნოდა ესტერგაზს, მაშინ როდესაც დრეიფუსს შეეძლო ცნობები შეეკრიბა იმის შესახებ იმიტომ, რომ ბურჟში იყო, სადაც ეს იარაღი მზადდებოდაო. შემდეგ გენერალი ამბობს, რომ შენიშვნები დახაფარავ ჯარისა და სასროლ სახელმძღვანელოს შესახებ მთავარს შტაბს არა სცოდნია, რომელსაც ამ წიგნების რამდენიმე ცალი დრეიფუსის თხოვნით გაეგზავნაო. დანარჩენი ფრაზები ბორდეროსი მხოლოდ დრეიფუსს შეეხება და არა ესტერგაზს. ამას ის ამტკიცებს, რომ დრეიფუსი ცდილობდა შეეძინა საიდუმლო ცნობებიო. ესტერგაზი და პოლკოვნიკი ზანდგერი გაეცნობოდნენ ერთმანეთს ტუნისში. ესტერგაზი გაეცნო ანრის ზოლას პროცესის დროს. დიუპატის გაიძვერაობა, რომელსაც დანაშაულობის ხასიათი აქვს, არა სცოდნია მის უფროსებს: სახელდობრ, მან გარდასცა ესტერგაზს გასანთავისუფლებელი საბუთის ქაღალდი; მაგრამ ესტერგაზს დიდ ხანს არ შეუნახავს იგი და ამ საგნის გამო ყველანი მოატყუილაო. ქრისტიანე ესტერგაზი როჟეს საეჭვო კაცად მიაჩნია. ის მივიდა ლაბორისთან, სანამ ბერტიულიუსი ჩვენებას ჩამოართმევდა მას. როჟე ჰფიქრობს, რომ დეპეშა, რომელზედაც ხელმოწერილი იყო „speranza“, გაგზავნილი უნდა ყოფილიყვეს აგენტად ნამყოფის სუფრენის მიერო. შემდეგ იგი ამბობს იმის შესახებ, თუ რაგვარი მონაწილეობა მიიღო დიუ-პატიმ დრეიფუსის საქმეში. ესტერგაზი სიმართლეს არ ამბობს, როცა ამტკიცებს, რომ მთავარ შტაბის მოხელე ვიყავიო, რომელსაც სრულებითაც არ ეშინიან იმის მუქარისა, რომ საიდუმლოებას გამოვააშკარავებო. შემდეგ როჟე ლაპარაკობს პიკარის გაიძვერაობის შესახებ და ამბობს, რომ მზადა ვარ პირის-პირ წარვუდგე პიკარსაო. გენერალი ერთობ ბევრს ლაპარაკობს ანრის მიერ ჩადენილ სიყალბის შესახებ, რომელიც (ანრი) ცნობილ იქმნა გენერალ პელიესათვის, როცა ზოლას ასამართლებდნენ.

**ჰავანა.** ეროვნული კრება დაიშალა. ჯარი დათხოვნილია, რომელმაც თოფ-იარაღი გარდასცა მთავრობას. სიქალაქო საბჭო გადაკეთებულ იქმნა საბოლოოდ მთავრობის დაწესებულებად.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ შანხაიდგან, რომ 22 მარტს იქ მივიდა ბრიტანიის ელჩი და მაშინვე ხანკოუსაკენ გაეშურა, რათა მოისმინოს საჩივარი იქაურ ინგლისელ ახალშენთა და გამოძიება მოახდინოს კონცესიის შესახებ, რომელიც აზრად აქვთ ბელგიელებს. ელჩი ნახავს ნანკინის ვიცე-კოროლს.

**პარიჟი.** „კაცისა და მოქალაქის უფლებათა ლიგის“ ვიცე-პრეზიდენტი დიუკლო, გრიმო და კომიტეტის სამი სხვა წევრი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი. ყველა ლიგების შესახებ გამოძიება უკვე დამთავრდა.

25 მარტი

**ოდესა.** საბჭომ დაადგინა: განსაკუთრებულის სამსახურისათვის, რომელიც ქალაქს გაუწია ფინანსთა მინისტრმა, საახნაურო ქუჩას ეწოდოს ქალაქ ოდესის საპატიო მოქალაქის სერგეი იულის ძის ვიტეს სახელი.

**პარიჟი.** გაზეთები იუწყებიან, რომ „Figaro“-ს რედაქციას უწყება მიუვიდა, სასამართლოში გამოცხადდეს შაბათს პასუხის საგებლად იმის გამო, რომ მან გამოაქვეყნა სისხლის სამართლის პალატის მიერ მომხდარი გამოძიებაო.

**პარიჟი.** ლუბე წავიდა დღეს ორის დღით მონტელიმარში.

**ვაშინგტონი.** გენერალმა ოტისმა პროკლამაცია გამოსცა, რომელშიაც ამბობს, რომ ამერიკის უზენაესი მფლობელობა გავრცელებული იქმნება მთელს ფილიპინების არხიპელაგზე. ყოველგვარი წინააღმდეგობა დაითრგუნება, მაგრამ ამერიკის მფლობელობის ქვეშ არხიპელაგს მინიჭებული ექმნება ფართო თვითმართველობაო.

**პეტერბურგი.** ოხტენის თოფის წამლის ქარხნის ერთს შენობაში ტყვია-წამალი აფეთქდა და მთელი შენობა დაინგრა. მოკლულია მუშა პავლოვი და დაჭრილი ლარიონოვის ქალი, რომელიც გზად მიდიოდა თურმე იმ დროს და რომელსაც მაშინვე აღმოუჩინეს შემწეობა.

**პარიჟი.** „Figaro“-ში დაბეჭდილია ჩვენება ბერტულიუსისა, რომელსაც ჩამოურთმევია პიკარისათვის იმ დეპეშათა შესახებ, რომელთაც „Speranza“ და „Blanché“ ეწერა ქვეშ. ბოლოს პიკარი სანდოდ მეჩვენა, რადგან მისი ნალაპარაკევი საბუთებით მტკიცდებოდაო. გენერალმა გონზმა მომანდო გარდამეცა პიკარისათვის, რომ მისი მერმისი დამოკიდებული იყო იმისაგან, თუ როგორ მოიქცეოდა ასსიზთა სასამართლოს წინაშე. შემდეგ ბერტულიუსმა ილაპარაკა იმის შესახებ, როგორ გაუჩხრიკეს სახლი პეის ქალს და როგორ დააპატიმრეს ესტერგაზი. პეი გამოტყდა, რომ ის დეპეშა, რომელსაც ქვეშ „Speranza“ აწერია, ჩემი დაწერილიაო. დეპეშა, „Blanché“ სახელით ხელ-მოწერილი, დიუ-პატის დაწერილია, მაგრამ შემდეგ უკუ-სთქვა ეს ჩვენება. პოლკოვნიკი ანრი საბუთის ქაღალდებს დაეძებდა იმ ქაღალდებში, რომელიც პეის სახლში უპოვეს, და როდესაც დაინახა ის საბუთის ქაღალდი, რომელშიაც სიტყვა „ბაზელ“-ი და „ს“-ი იყო, აღელვდა და განაცხადა, რომ „Blanché“-ს სახელით ხელმოწერილი დეპეშა ესტერგაზის მიერ არის შედგენილი, ხოლო „Speranza“-ს სახელით ხელ-მოწერილი გაგზავნილია დიუ-პატის მიერო. ანრიმ დასძინა, რომ „ესტერგაზი ავაზაკიაო“. ამ რამდენისამე დღის შემდეგ ეს სიტყვები უკუ-სთქვა და განაცხადა, რომ მაგ დაპატიმრებულ საბუთის ქაღალდებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. ბოლოს მოითხოვა ის საბუთის ქაღალდი, რომელზედაც ეწერა „ბაზელ“-ი და „ს“. ბერტულიუსმა განაცხადა, რომ ესტერგაზის წერილი ვიპოვნე როტშილდის მდივანთან; ესტერგაზმა უთხრა როტშილდს: „ალლუმებზედ დასასწრებლად მივდივარო, მაგრამ ეს სიტყვები შეეხებოდა იმ ამბავს, რომელიც 1888 წ. მოხდა. დიუპატი მარწმუნებდა, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო და ამასთან განაცხადა, რომ პიკარს პატიოსან კაცადა ვსთვლიო. დასასრულ ბერტულიუსმა ილაპარაკა „პირ ბადიან ქალის“ შესახებ, რომელიც პატი-დიუ-კლამი აღმოჩნდა. დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ „პირბადიანი ქალი“ სულ სხვა ვინმე იყოო, ხოლო იმ სხვამ დაამტკიცა, რომ იგი პარიჟში არ იმყოფებოდა, როდესაც გარდაცემულ იქმნა ესრედ წოდებული „განმათავისუფლებელი საბუთის ქაღალდი.“ ეს ქალი პიკარის ნათესავი აღმოჩნდა.

„Echo de Paris“-ს სარწმუნო წყაროდგან შეუტყვია, რომ ამ წლის შემოდგომაზედ იმპერატორი ვილჰელმი მონაკოს მივა, რათა დაესწროს ამ ქალაქში დასაარსებლად განზრახულ ოკეანოგრაფიულს მუზეის კურთხევას.

26 მარტი

**გაგა.** ნიდერლანდის დიპლომატიის შემწეობით დაგზავნილ ოფიციალურ მოწვევაში კონფერენციაზედ დასასწრებლად აღნიშნულია, ის რომ ეს საგანი პირველად აღძრა რუსეთის იმპერატორმა, რომელიც მწადინებულია კონფერენციის შემწეობით მშვიდობიანობა მოჰფინოს და შეიარაღება შეამციროს. მოწვეული იქმნება კონფერენციაზედ ევროპის 19 სახელმწიფო, შეერთებული შტატები, სიამი, სპარსეთი, ჩინეთი და იაპონია.

**მონტელიმარი.** ვალენსში გაჩერების შემდეგ, რესპუბლიკის პრეზიდენტი, დიუპუისთან ერთად მონტელიმარში მოვიდა. მოხელენი და ხალხი პრეზიდენტს სადგურზედ ელოდა. ხალხი აღტაცებით მიეგება ლუბეს.

**სტოკჰოლმი.** რიქსდაგმა, 223 ხმის უმეტესობით 143 ხმის წინააღმდეგ, გადასდო 2,388,000 კრონი თოფების სასყიდლად და, 191 ხმის უმეტესობით 172 ხმის წინააღმდეგ, 2,200,000 კრონი—სახელმწიფოს გასამაგრებლად.

**მონტელიმარი.** ქალაქი ბაირაღებით არის მორთული, ხალხი აღტაცებით მიეგება. დედა პრეზიდენტისა, 86 წლის მოხუცი, ქალაქის თვით-მართველობის სახლთან გამართულ ესტრადზედ ელოდა. პრეზიდენტი სიყვარულით გადაეხვია დედას. მოხელეთა მიღების შემდეგ პრეზიდენტი ნადიმს დაესწრო.

**მონტელიმარი.** პრეზიდენტმა, წარმოთქმულ სადღეგრძელოს საპასუხოდ, სთქვა, რომ თუ პრეზიდენტობა ვიკისრე, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ მსურს რესპუბლიკის ერთიანობის მტკიცე ნიადაგზედ დაყენება, რაიცა ქვეყნისათვის დიდად საჭიაროა.

**ვაშინგტონი.** გაავაში განზრახულ კონფერენციაში შეერთებულ შტატების მხრივ მონაწილეობას მიიღებენ: ბერლინელი ელჩი უაიტ, გააგელი ელჩი ნიუველი, კოლუმბის უნივერსიტეტის პრეზიდენტი სეტ-ლოუ, კაპიტანი კროზიე, როგორც სამხედრო უწყების დელეგატი, კაპიტანი მაგინი, როგორც ზღვათა უწყების დელეგატი, და ბრედერიკ გოლსკი, ვითარცა მდივანი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩემის მოსწავლეებისა და ჩემის მხრივ მადლობას ვუხდი ბ-ნთ ალექსანდრე იოსების ძე ხაბულიანს და გრიგოლ მიხეილის ძე ფხალაძეს, რომელთაგან პირველმა უსასყიდლოდ დაურიგა ჩემს მოსწავლეებს ოც-დახუთი ცალი თვის მიერ შედგენილის წიგნაკისა „პატარა კონა“, ხოლო მეორემ დაუკვეთა ამ წლისათვის საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“.

პერევისის სკოლის მასწავლებელი ვანო გიუნაშვილი


# განცხადებანი

მიღებულია ლაგოდეხში არსებულ „შრომის“ ამხანაგობის სანერგედგან ერევნის ატმის ხეები. თითო ხე ჰღირს 25 კ.—50 კაპეიკამდე. მსურველმა უნდა მიჰმართოს ტერ-სტეფანოვის პანსიონს მიხეილის ქუჩა, № 101.
(2 41—1)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური ბორნო-ტიმოლის საპონი

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისას, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო საპფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში საფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—7)